დაამარCხე!

დაამარCხე!

რა უნდა ვიცოდეთ C ჰეპატიტის შესახებ?

დეტალური ინფორმაცია იხილეთ
www.moh.gov.ge ან www.ncdc.ge
დაგვიკავშირდით
1505 ან 116001

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
NCDC
HRU
ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

რა არის ჰეპატიტი?

ჰეპატიტი ნიშნავს ღვიძლის ანთებას. მისი გამოწვევა შეუძლია სხვადასხვა ვირუსს, ბაქტერიას, ზოგიერთ მედიკამენტს, ტოქსინს, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას და სხვ. თუმცა ჰეპატიტის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ მიზეზს A, B და C ჰეპატიტის ვირუსები წარმოადგენს.

როგორ გადაეცემა C ჰეპატიტის ვირუსი?

C ჰეპატიტის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში ხვდება ამ ვირუსით ინფიცირებული სისხლის და ორგანიზმის სხვა ბიოლოგიური სითხეების მეშვეობით. ეს შეიძლება მოხდეს:

- დაბინძურებული ნემსის ან შპრიცის ან სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით;
- ინფიცირებული დედიდან ბავშვზე;
- სქესობრივი გზით.

დედიდან ბავშვზე C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის რისკი დაბალია და არ აღემატება 5%-ს. ასევე დაბალია სქესობრივი გზით გადაცემის რისკიც (საშუალოდ 2%).

გარდა ამისა, C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა შეიძლება მოხდეს საერთო საპარსის, ფრჩხილის მაკრატლის ან კბილის ჯაგრისის გამოყენებითაც.

რა სიმპტომები აქვს C ჰეპატიტს?

C ჰეპატიტის შემთხვევათა უდიდესი ნაწილი სრულიად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ინფიცირებული ადამიანისთვის შეუმჩნეველი რჩება.

ზოგჯერ C ჰეპატიტს ახასიათებს საერთო სისუსტე, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში, სახსრების ტკივილი, გამონაყარი კანზე და სხვა.

როგორ ტარდება C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა?

ვირუსის გამოვლენის ერთადერთი გზაა ლაბორატორიული დიაგნოსტიკა. C ჰეპატიტის გამოსავლენად თავდაპირველად ტარდება ე.წ. სკრინინგული ტესტი, რომელიც ბევრ სამედიცინო დაწესებულებაში ხელმისაწვდომია უფასოდ.

სკრინინგით დადებით ადამიანს შემდგომში უტარდება C ჰეპატიტის რაოდენობრივი ანალიზი, რომლითაც უკვე დგინდება, ამჟამად ინფიცირებულია პაციენტი თუ დაავადება თვითგანკურნებით არის დასრულებული. ვირუსის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ თვითგანკურნება დაახლოებით 20-25%-ში შეიძლება მოხდეს და ეს ადამიანები არ საჭიროებენ მკურნალობას. თუმცა პირველადი ტესტი მათ მთელი ცხოვრება დადებითი ექნებათ.

როგორ ხდება C ჰეპატიტის მკურნალობა?

სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პაციენტს უტარდება შესაბამისი გამოკვლევები დაავადების ფორმის დასადგენად და მკურნალობის შესარჩევად. ამის შემდეგ პაციენტს უტარდება მკურნალობა თანამედროვე, მაღალეფექტური მედიკამენტებით, რომლებიც პაციენტებისთვის სრულიად უფასოა. განკურნების მაჩვენებელი აღემატება 95%-ს.

რა გართულებები შეიძლება ჰქონდეს C ჰეპატიტს მკურნალობის გარეშე?

ქრონიკული C ჰეპატიტის დროს შეიძლება მოხდეს ღვიძლის სერიოზული დაზიანება და გართულდეს ღვიძლის ციროზით და კიბოთი.

დაამარCხე!